

მოწყობილობის დანიშნულება

სარეცხი მანქანა განკუთვნილია საყოფაცხოვრებო პირობებში იმ ტექსტილის ნაკეთობებისა და ზედა ტანსაცმლის გასარეცხად, რომლებიც ვარგისია მანქანური რეცხვისთვის სარეცხი საშუალების ხსნარში.

უსაფრთხოების ზომები ელექტროენერგიასთან მუშაობისას

- მანქანის ელექტროქსელში ჩართვამდე აუცილებელია ვიზუალურად შემოწმდეს კვების კაბელი დაზიანებების არარსებობაზე. კაბელი არ უნდა იყოს გადახრილი ან მოჭყლეტილი. საფრთხის თავიდან ასაცილებლად, დაზიანებული კაბელის შეცვლა უნდა განახორციელოს სერვისული მომსახურების წარმომადგენელმა ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა სპეციალისტმა.
- გაწმენდის ან ტექნიკური მომსახურების დაწყებამდე აუცილებელია სარეცხი მანქანის გამორთვა კვების ქსელიდან.
- არ შეეხეთ კვების კაბელის ელ. ჩანგალს სველი ხელებით.
- თქვენი უსაფრთხოებისთვის კვების კაბელის ელ. ჩანგალი უნდა მიერთდეს ორპოლუსიან როზეტს დამიწების კონტაქტით. ყურადღებით შეამოწმეთ და დარწმუნდით, რომ თქვენი კვების ქსელის როზეტს აქვს სწორი და საიმედო დამიწება.
- აკრძალულია მანქანის ელექტროქსელში ჩასართავად გადამყვანების (ადაპტერების), მრავალადგილიანი როზეტების და დამაგრძელებელი კაბელების გამოყენება.
- მოწყობილობის შეერთებამდე დარწმუნდით, რომ მასზე მითითებული ძაბვა შეესაბამება ადგილობრივი ელექტროქსელის ძაბვას. თუ არ ფლობთ ინფორმაციას ელექტრომომარაგების პარამეტრების შესახებ, მიმართეთ მომსახურე ორგანიზაციას.
- უზრუნველყავით კვების კაბელის შესაბამისი დაცვა. კაბელი კარგად უნდა იყოს დაფიქსირებული ისე, რომ არ მოედოს ადამიანებს ან სხვა საგნებს და არ დაზიანდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვების ქსელს. ელექტრული ჩანგალი როზეტში თავისუფლად უნდა შედიოდეს. ასევე, ყურადღება მიაქციეთ როზეტის განლაგებას და მასთან წვდომის მოხერხებულობას.
- აკრძალულია მანქანის ელექტროქსელიდან გამორთვა კვების კაბელზე დაქაჩვით. ამისთვის გამოიყენეთ ჩანგალი.
- არ დაუშვათ როზეტის გადატვირთვა და ნუ დააგრძელებთ კვების კაბელს. სადენის დაგრძელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ხანძარი ან ელექტროშოკი. არ მოჰკიდოთ ხელი კვების კაბელს სველი ხელებით.
- ელექტროშოკისგან დაცვის ტიპის მიხედვით, სარეცხი მანქანა მიეკუთვნება ****I კლასის**** ხელსაწყოებს, რომლის კონსტრუქციაც გამორიცხავს დენგამტარ ნაწილებთან პირდაპირ წვდომას და იცავს ძაბვის ქვეშ მყოფ ელემენტებს წყლის მოხვედრისგან. თუმცა, გარკვეული გაუმართაობისას შესაძლებელია ელექტრული პოტენციალის მოხვედრა კორპუსის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ნაწილებზე სარეცხი ხსნარისა და ნესტის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან და მიმართეთ სერვის-ცენტრს.